კოვიდ-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის კვლევა კახეთის, სამეგრელოს და გურიის სამიზნე თემებში

კვლევის ანგარიში მომზადებულია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისთვის

კვლევის ავტორი: თამარ ბურდული

2020

შინაარსი

გამოყენებული ცხრილების და დიაგრამების ჩამონათვალი 2

ძირითადი მიგნებები 3

1. მეთოდოლოგია 4

2. რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები 7

3. ადგილობრივ დონეზე არსებული გამოწვევების მიმოხილვა 10

4. პანდემიის ზეგავლენა 12

4.1. შემოსავალზე და პროფესიულ საქმიანობაზე 12

4.2. ყოველდღიურ საქმიანობაზე 16

5. პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებით სარგებლობა 19

6. ადგილობრივ დონეზე საჭირო ბიზნესები 21

დანართი 1. რაოდენობრივი კითხვარი 25

დანართი 2. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის, თემის და სოფლის მიხედვით 30

დანართი 3. ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი 33

დანართი 4. უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით 35

დანართი 5. სამი უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით 36

დანართი 6. ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით 37

დანართი 7. სამი ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით 38

დანართი 8. მცირე საოჯახო ბიზნესის წამოწყების იდეა, რეგიონის მიხედვით 39

გამოყენებული ცხრილების და დიაგრამების ჩამონათვალი

ცხრილი 1. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა რეგიონის მიხედვით.....6
ცხრილი 2. გამოკითხულთა რაოდენობა რეგიონის და მუნიციპალიტეტის მიხედვით.....6

დიაგრამა 1. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და სქესის მიხედვით.....7
დიაგრამა 2. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით 8
დიაგრამა 3. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და დასაქმების სტატუსის მიხედვით 8
დიაგრამა 4. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და განათლების დონის მიხედვით.....9
დიაგრამა 5. უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით 10
დიაგრამა 6. სამი უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით 11
დიაგრამა 7. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და შემოსავლის ძირითადი წყაროს მიხედვით 13
დიაგრამა 8. პანდემიის ზეგავლენა ოჯახის შემოსავალზე, რეგიონის მიხედვით.....14
დიაგრამა 9. ცვლილება ყოველდღიურ დატვირთვაში, რეგიონის მიხედვით.....16
დიაგრამა 10. რა საქმიანობას მიაქვს მეტი დრო ახლა, ვიდრე პანდემიამდე პერიოდში? 17
დიაგრამა 11. საქმიანობით დატვირთვაში ზრდა, სქესის მიხედვით.....18
დიაგრამა 12. პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამით სარგებლობა, რეგიონის მიხედვით.....19
დიაგრამა 13. პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამით ვერსარგებლობის მიზეზი, რეგიონის მიხედვით.....20
დიაგრამა 14. ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით 21
დიაგრამა 15. სამი ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით 22
დიაგრამა 16. დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, წამოიწყებდით თუ არა საკუთარ ბიზნესს? რეგიონის მიხედვით.....23
დიაგრამა 17. მცირე საოჯახო ბიზნესის წამოწყების სურვილი, რეგიონის მიხედვით 24

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე კვლევის ანგარიში მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) პროექტის „კოვიდ-19-ის პანდემიაზე რეაგირების სათემო ინიციატივების“ ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით. პროექტის მიზანია რეგიონის მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად, ქალების ეკონომიკური გაძლიერება და მათი მცირე საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების წახალისება. კვლევის მიზანი იყო კოვიდ-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის პირველადი აღწერითი შეფასება ორგანიზაციის სამიზნე რეგიონებსა და თემებში, კახეთში, სამეგრელოში და გურიაში (სულ 27 თემი). ანგარიში შემუშავდა აღნიშნულ რეგიონებში სამიზნე თემების მაცხოვრებელთა გამოკითხვის (1310 რესპონდენტი/კომლი, 3579 ოჯახის წევრი) და ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით. კვლევა განხორციელდა 2020 წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში.

გამოკითხულთა დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ერთმნიშვნელოვნად უმუშევრობა (53%) დასახელდა, რაც დადასტურდა ფოკუს ჯგუფებშიც. რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვნებით მომდევნო პრობლემები ინფრასტრუქტურას (38%) უკავშირდებოდა. დამატებით, გამოიკვეთა სამედიცინო სერვისებზე და აფთიაქებზე, სასოფლო სამეურნეო მომსახურებაზე, ტექნიკასა და მასალებზე (სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სათესლე მასალა და სხვ.) ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, და სოფლებს შორის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, პრიორიტეტულ პრობლემებად დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) ცენტრებისა და სკოლა-საბავშვო ბაღების არარსებობა ან დაბალი ხელმისაწვდომობა, ასევე ინტერნეტის არქონა ან დაბალი ხარისხი. ფოკუს ჯგუფების მიხედვით, ღია რეკრეაციული ადგილების, სურსათის მაღაზიის, სოფლებს შორის ტრანსპორტირების, ინტერნეტის და აფთიაქის არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები პანდემიის შედეგად განსაკუთრებით გამძაფრდა.

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიას და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი უარყოფითი ემოციური და ეკონომიკური ზეგავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს გარკვეული დადებითი ეფექტებიც. მათ ხაზი გაუსვეს ბუნებასთან სიახლოვის მნიშვნელოვნების განცდის და მიგრანტთა შორის ქალაქიდან სოფლად დაბრუნების სურვილის გაჩენას. თუმცა, კვლევაში მონაწილეთა მიხედვით, პანდემიის ძირითადი ეფექტები ცალსახად ნეგატიური იყო.

ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ პანდემიამ ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონია ემოციურ მდგომარეობაზე და შემოსავალზე. სოციალური იზოლაცია და ჯანმრთელობის და შემოსავლის დაკარგვის შიში და გაურკვევლობა ამძაფრებდა შფოთვას და დაძაბულობას. ეს განსაკუთრებით აისახებოდა უმუშევრებზე, სეზონური/არასტაბილური შემოსავლის მქონეებზე და კერძო სექტორში დასაქმებულებზე. რესპონდენტთა შორის, დასაქმებულთა უმეტესობა - 60% - თვითდასაქმებული იყო, ან კერძო სექტორში მუშაობდა - შესაბამისად, პანდემიამ განსაკუთრებული ეკონომიკური ზეგავლენა იქონია გამოკითხულთა სწორედ ამ ნაწილზე. პანდემიის დროს საქართველოში დაბრუნდა საზღვარგარეთ დასაქმებულთა ნაწილიც, რამაც დამატებით შეამცირა მათი ოჯახების შემოსავალი. შემოსავლის შემცირებას ამძაფრებდა პროდუქტის და სერვისების ფასების ზრდა და მიწოდების შეფერხება. ეს პრობლემა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა რაიონული ცენტრისგან მოშორებით მდებარე სოფლებისთვის.

ინტერნეტთან დაკავშირებული ზოგადი პრობლემები მეტად აქტუალური გახდა ონლაინ სწავლა-სწავლებისა და დისტანციური მუშაობის მოთხოვნიდან გამომდინარე. ამას, ზოგიერთ შემთხვევაში ემატებოდა კომპიუტერის არქონა და ელექტროენერგიის სტაბილურ მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ყოველდღიური დატვირთვის ზრდა, ძირითადად, უკავშირდებოდა საოჯახო საქმიანობის ზრდას. თუმცა ეს, ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა მიხედვით, ნაწილობრივ ამცირებდა შვილებთან გატარებულ დროს. გარდა ამისა, მშობლები მეტ დროს ატარებდნენ ბაღის და სასკოლო ასაკის ბავშვებთან, რაც მოიცავდა გართობა-თამაშს, ასევე, ონლაინ გაკვეთილებში ჩართულობას და გაკვეთილების მომზადებაში დახმარებას. ასევე იმატა სოფლის მეურნეობაში ჩართულობამაც. ყოველდღიური საოჯახო საქმიანობით დატვირთვაში ზრდა თანაბრად დაფიქსირდა ქალებისთვის და კაცებისთვის. ყოველდღიურ საქმიანობაში დატვირთვის ზრდაში სქესის მიხედვით განსხვავება გამოიკვეთა სქესის შესაბამისი „ტრადიციული“ როლებისთვის: ქალები, კაცებთან შედარებით, მეტ დროს უთმობდნენ ბავშვების მოვლას; კაცები კი, ქალებთან შედარებით, მეტ დროს უთმობდნენ სამსახურს და სოფლის მეურნეობას.

გამოკითხულთა მიხედვით, 473 რესპონდენტს (36%) ეკუთვნოდა პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო ფულადი დახმარება. მათმა მესამედმა არ/ან ვერ ისარგებლა აღნიშნული პროგრამით, მთავარ მიზეზებად კი პროცედურის სირთულე და შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა დასახელდა (21%). ფოკუს ჯგუფის მიხედვით, დახმარებისთვის რეგისტრაციაზე დამატებითი პრობლემა ინტერნეტთან წვდომის უქონლობას უკავშირდებოდა. გარდა ამისა, მათი აზრით, პროგრამა არ ითვალისწინებდა ყველა მოწყვლად ჯგუფს, განსაკუთრებით კი - მარტოხელა მოხუცებს.

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო სამიზნე თემებში დასახლების დონეზე საჭირო ბიზნესების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროექტის საგრანტო კომპონენტის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. რესპონდენტთა აზრით, ყველაზე პრიორიტეტული ბიზნესი ადგილობრივ დონეზე საცხობი/საკონდიტრო აღმოჩნდა. ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტებად დასახელდა დასასვენებელი და გასართობი ადგილები და სილამაზის სალონი. დამატებით, სურსათისა და ხილ-ბოსტანის, მაღაზიების, კომპოტის, წვენის, მურაბის, ჩურჩხელის, ჩირის და კონსერვის წარმოების საჭიროება. ასევე საჭიროებად დასახელდა კინოთეატრი, აფთიაქი და საოჯახო და კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება.

1. მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო კახეთში, სამეგრელოში და გურიაში ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) სამიზნე თემებში კოვიდ-19-ის სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის პირველადი აღწერითი შეფასება. კვლევა, ორგანიზაციის დაკვეთით, განახორციელა მკვლევარმა თამარ ბურდულმა, პროექტის გუნდთან ინტენსიური კონსულტაციით და პროცესში მათი ჩართულობით. კვლევამ მოიცვა რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტები და განხორციელდა 2020 წლის ივნისი-სექტემბრის თვეებში.

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში, მკვლევარმა, დამკვეთ ორგანიზაციასთან კონსულტაციით, შეიმუშავა საკვლევი ინსტრუმენტი - რაოდენობრივი კითხვარი (დანართი 1), რომელიც შეიცავდა 12 დახურულ და ნახევრად-დახურულ შეკითხვას. გარდა რესპონდენტის და მისი ოჯახის დემოგრაფიული მონაცემებისა, შეკითხვები ეხებოდა კოვიდ-19-ის პანდემიის ზეგავლენას ოჯახის შემოსავალზე და საქმიანობაზე, პანდემიის ზეგავლენის შემსუბუქებასთან დაკავშირებულ სახელმწიფოს ფულადი დახმარებით სარგებლობას, რესპონდენტის დასახლებაში აქტუალურ პრობლემებს და ადგილობრივ დონეზე საჭირო მცირე ბიზნესებს. დამატებით, კითხვარის მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე ქალებს შორის მცირე საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების იდენტიფიცირება. მომდევნო ეტაპზე, მოხდა კითხვარის ტესტირება და დახვეწა, რის შემდეგაც ონლაინ პლატფორმა Zoom-ით, კითხვარის ადმინისტრირებისა და რესპონდენტთა შერჩევის საკითხებზე დისტანციურად გადამზადდა დამკვეთი ორგანიზაციის მიერ შერჩეული 32 ქალი, ხოლო მონაცემების შეყვანაში ამავე ორგანიზაციის/პროექტის გუნდის 4 წარმომადგენელი. ასევე ინტერვიუერებისთვის შემუშავდა რესპონდენტის შერჩევის და გამოკითხვის ჩატარების სახელმძღვანელო ინსტრუქციები.

სამიზნე თემების მოსახლეობის რაოდენობრივი მონაცემები მკვლევარს მიაწოდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა. კვლევის შერჩევა არ არის სტატისტიკურად რეპრეზენტაციული და, შესაბამისად, ვერ მოხდება კვლევის შედეგების სამიზნე რეგიონების ან თემების პოპულაციებზე განზოგადება. თუმცა, კვლევის შედეგები იძლევა ადგილობრივი მდგომარეობის, საჭიროებებისა და კოვიდ-19-ის პანდემიის ზეგავლენის შესახებ გარკვეული სურათის წარმოდგენის საშუალებას. შერჩევის ზომის განსაზღვრა განხორციელდა დამკვეთ ორგანიზაციასთან კონსულტაციით, კვლევის მიზნებისა და შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით. პროექტის ფოკუსიდან გამომდინარე, შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი რესპონდენტთა შორის ქალების წილს მინიმუმ 60%-ით განსაზღვრავდა. გამოკითხვა ჩატარდა 2020 წლის ივლის-აგვისტოში, სულ გამოიკითხა 1310 რესპონდენტი, რომელთა 77% მდედრობით სქესს წარმოადგენდა. გამოკითხულთა სიხშირული და პროცენტული განაწილება რეგიონის, მუნიციპალიტეტის, თემის და სოფლის მიხედვით მოცემულია დანართში 2.

თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში, 2020 წლის ივნის-სექტემბერში დისტანციურად, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით, სამიზნე თემების მაცხოვრებლებთან ჩატარებული 4 ფოკუს ჯგუფური შეხვედრის მიზანი იყო რაოდენობრივი კომპონენტით შეგროვებული ინფორმაციის და კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვება (ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი მოცემულია დანართში 2). ფოკუს ჯგუფები შეირჩა დამკვეთის მიერ, ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით და ჯგუფის სიხშირული განაწილება რეგიონის მიხედვით მოცემულია ცხრილში: სულ 27 მონაწილედან 25 მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

ცხრილი 1. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

	კახეთი	სამეგრელო	გურია	სულ
ფოკუს ჯგუფი 1	5	4	1	10
ფოკუს ჯგუფი 2	4	1	2	7
ფოკუს ჯგუფი 3	4	2	2	8
ფოკუს ჯგუფი 4	2	-	-	2
სულ	**15**	**7**	**5**	**27**

კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფების ფორმატი. შეხვედრების ონლაინ ფორმატმა შეზღუდა პოტენციურ მონაწილეთა რიცხვი, ვინაიდან დისკუსიაში მონაწილეობა გულისხმობდა ციფრული ტექნოლოგიების ფლობას, გამოყენების ცოდნის შედარებით მაღალ დონეს და უწყვეტ ინტერნეტთან წვდომას, რაც, რიგ შემთხვევებში, ვერ მოხერხდა და თვისებრივი კვლევის მიღმა დარჩა მოსახლეობის მეტად მოწყვლადი ნაწილი.

ანგარიში წარმოადგენს ამ კვლევის ფარგლებში შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების აღწერით ანალიზს რეგიონულ ჭრილში. ორგანიზაციის მიერ ადგილობრივ დონეზე ადვოკატირების განხორციელების მიზნით, დამატებითად შემუშავდა აღწერითი ანგარიშები კვლევის თითოეული სამიზნე მუნიციპალიტეტისთვის (მუნიციპალიტეტები და გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა მოცემულია ცხრილში 2).

ცხრილი 2. გამოკითხულთა რაოდენობა რეგიონის და მუნიციპალიტეტის მიხედვით

რეგიონი/ მუნიციპალიტეტი	N	%
კახეთი	**627**	**48%**
ახმეტა	62	5%
დედოფლისწყარო	79	6%
თელავი	176	13%
ლაგოდეხი	289	22%
ყვარელი	21	2%
სამეგრელო	**431**	**33%**
აბაშა	48	4%
მარტვილი	33	3%
სენაკი	16	1%
ჩხოროწყუ	313	24%
ხობი	21	2%
გურია	**252**	**19%**
ოზურგეთი	252	19%
სულ	**1310**	**100%**

ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სამიზნე სოფლებში არსებული პრობლემების შესახებ, ასევე ეხება პანდემიის ზეგავლენას შემოსავალზე, პროფესიულ და ყოველდღიურ საქმიანობაზე, მოკლედ აღწერს გამოკითხვის შედეგებს პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო ფულადი დახმარების შესახებ და, ბოლოს, აღწერს შედეგებს გამოკითხულ სოფლებში საჭირო ბიზნესებზე.

2. რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 1310 რესპონდენტი, რომელთა 77% ქალია. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გამოკითხულთა პროცენტულ განაწილებას რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა 1. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და სქესის მიხედვით



გამოკითხულთა 95% მუდმივად ცხოვრობდა რეგიონში. გამოკითხულთა ასაკი 18-დან 88 წლამდე ვარირებდა და მათი 61% 26-დან 55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



რესპონდენტთა 54% დასაქმებული იყო, უმუშევრობის მაჩვენებელი კი 32%-ს შეადგენდა. რეგიონებს შორის უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გურიაში, ხოლო ყველაზე დაბალი - სამეგრელოში დაფიქსირდა.

დიაგრამა 3. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და დასაქმების სტატუსის მიხედვით



უმუშევართა საერთო რაოდენობის 78% ქალია. მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა თითოეულ გამოკითხულ რეგიონში. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ სოფლის დასახლებებში მცხოვრები ქალები ტრადიციულად საოჯახო საქმიანობით არიან დაკავებული, ხოლო საქართველოში დიასახლისობა დასაქმების ტიპად არ მოიაზრება.

უმუშევართა საერთო რაოდენობის 51% 26-45 წლის ასაკის რესპონდენტებს წარმოადგენდნენ. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა კახეთსა და გურიაში (59% და 48%, შესაბამისად), ხოლო სამეგრელოში უმუშევარ რესპონდენტთა 51% 36-დან 55 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა.

რესპონდენტთა მესამედმა განათლების უმაღლეს დონედ სრული საშუალო განათლება დაასახელა. მსგავსი ტენდენცია აისახა კახეთსა და გურიაშიც, სამეგრელოში კი გამოკითხულთა მესამედმა განათლების უმაღლეს დონედ არასრული უმაღლესი დაასახელა. გამოკითხულთა მეხუთედს აქვს პროფესიულ განათლება.

დიაგრამა 4. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და განათლების დონის მიხედვით



შემდეგი თავი მიმოიხილავს რესპონდენტებისთვის მათ დასახლებებში არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებს.

3. ადგილობრივ დონეზე არსებული გამოწვევების მიმოხილვა

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო სამიზნე თემებში არსებულ გამოწვევებზე ინფორმაციის შეგროვება, მუნიციპალიტეტებთან მონაცემებზე დაფუძნებული ადვოკატირების განხორციელების მიზნით. ამისათვის, რაოდენობრივი კითხვარი შეიცავდა შეკითხვას რესპონდენტის დასახლებაში არსებული სამი ძირითადი პრობლემის შესახებ. ქვემოთ მოცემული ორი დიაგრამა აჯამებს ამ შეკითხვაზე პასუხებს. პირველი დიაგრამა წარმოადგენს პასუხებს რესპონდენტის დასახლებაში არსებული *ყველაზე დიდი პრობლემის* შესახებ. მეორე დიაგრამა კი - გამოკითხულთა მიერ დასახელებულ ყველა ძირითად პრობლემას.

გამოკითხულთა დასახლებებში *ყველაზე დიდ პრობლემად* ერთმნიშვნელოვნად უმუშევრობა (52%) დასახელდა, რაც დადასტურდა ფოკუს ჯგუფებშიც. მნიშვნელოვნებით მომდევნო პრობლემები ინფრასტრუქტურას (38%) უკავშირდებოდა და ესენი იყო: სასმელი და სარწყავი წყლების პრობლემები (წყალგაყვანილობის არარსებობა, ან არასათანადო ხარისხის წყალი), სოფლის შიდა გზების მოუწესრიგებლობა, გაზიფიცირების, ღია დასასვენებელი ადგილების (პარკი, სკვერი) არარსებობა და სანიაღვრე არხებისა და გარე განათების არარსებობა ან გაუმართაობა. დიაგრამა 5 ასახავს უმსხვილეს პრიორიტეტულ პრობლემებს. რესპონდენტების მიერ დასახელებული ყველა ადგილობრივი პრობლემის სიხშირული და პროცენტული განაწილება ცხრილის სახით მოცემულია დანართში 4.

დიაგრამა 5. ყველაზე დიდი პრობლემა სოფელში, რეგიონების მიხედვით



დამატებით, გამოიკვეთა სამედიცინო სერვისების და აფთიაქების, სასოფლო-სამეურნეო მომსახურებაზე, ტექნიკასა და მასალებზე (სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სათესლე მასალა და სხვ.) ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და სოფლებს შორის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, პრიორიტეტულ პრობლემებად დასახელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ) ცენტრებისა და ადაპტირებული სკოლა-საბავშვო ბაღების არარსებობა ან დაბალი ხელმისაწვდომობა, ინტერნეტის არარსებობა ან დაბალი ხარისხი. რეგიონების მიხედვით პრობლემების პრიორიტეტებში მნიშვნელოვანი განსხვავებები არ იყო. დიაგრამა 6 ასახავს ადგილობრივ დონეზე არსებულ *მნიშვნელოვან* პრობლემებს. რესპონდენტების მიერ დასახელებული ყველა პრობლემის სიხშირული და პროცენტული განაწილება ცხრილის სახით მოცემულია დანართში 5.

დიაგრამა 6. სამი უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით



ფოკუს ჯგუფების მიხედვით, ღია დასასვენებელი ადგილების, სურსათის, სოფლებს შორის ტრანსპორტირების, ინტერნეტის და აფთიაქის არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემები პანდემიის შედეგად განსაკუთრებით გამძაფრდა. იზოლაციისას, ბავშვებისთვის მათ საჭიროებებზე მორგებულ ღია მწვანე სივრცეში გასვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. მაღაზიის გარეშე მყოფ სოფლებს მნიშვნელოვნად შეეზღუდათ წვდომა სურსათზე, ხოლო დისტანციურ სწავლა-სწავლებას და მუშაობას საგრძნობლად ზღუდავდა ინტერნეტის არქონა ან

ინტერნეტის დაბალი ხარისხი. სოფლებში აფთიაქის არარსებობა განსაკუთრებით პრობლემური გახდა ხანდაზმული ან დაავადებული ოჯახის წევრის მყოლი ოჯახებისთვის.

> „მყავს მოხუცი ჩაწოლილი, დედამთილი. პანდემიის დროს წასვლა-მოსვლა რო არ იყო, ვერ ვყიდულობდი საჭმელს, ვერც პამპერსს, წამალს, შემოგველია ყველაფერი.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, კახეთი.

ფოკუს ჯგუფებში დამატებით გამოიკვეთა ახალგაზრდების სოფლიდან ქალაქისკენ მიგრაციის და განათლების დაბალი ხარისხის პრობლემებიც.

> „ახალგაზრდების პრობლემა არის ის, რო ბოლო ერთი წელია, დავინახე, თუ რამხელა პოტენციალია სოფლის მეურნეობაში და სწორად თუ წაიყვან... პრობლემა არის ის, რო ახალგაზრდები ვერ ხედავენ ამ პოტენციალს, ინფორმაციის ნაკლებობაა. მხოლოდ ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტებია პოპულარული.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, კაცი, გურია.

შემდეგი თავი მეტად დეტალურად მიმოიხილავს პანდემიის გავლენას ოჯახის შემოსავალზე და პროფესიულ და ყოველდღიურ საქმიანობაზე.

4. პანდემიის ზეგავლენა

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიას და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს მნიშვნელოვანი უარყოფითი ემოციური და ეკონომიკური ზეგავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა გამოკვეთეს გარკვეული დადებითი ეფექტებიც. მათ ხაზი გაუსვეს ბუნებასთან სიახლოვის მნიშვნელოვნების განცდის და მიგრანტთა შორის ქალაქიდან სოფლად დაბრუნების სურვილის გაჩენას.

> „[დადებითი ზეგავლენა იყო] ბუნების სიყვარული და თბილი და კეთილი ხალხი, სოფელში დაბრუნება.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, კაცი, გურია.

> „ოჯახის წევრები, ვინც ქალაქში ცხოვრობდნენ, ისინი დაბრუნდნენ ირგვლივ, სტუდენტები, შვილიშვილები.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, გურია.

მონაწილეებმა ასევე გაიხსენეს რამდენიმე მაგალითი, როდესაც ქალაქიდან დაბრუნებულნი სოფლის მეურნეობაში აქტიურად ჩაერთვნენ. ასევე გამოიკვეთა გასაჭირში ყოფნისას მოსახლეობის მიერ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გამოჩენის და უანგარო დახმარების მაგალითები. თუმცა, კვლევაში მონაწილეთა მიხედვით, პანდემიის ძირითადი ეფექტები ცალსახად ნეგატიური იყო, რაც მიმოხილულია მომდევნო თავებში.

4.1. შემოსავალზე და პროფესიულ საქმიანობაზე

ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ პანდემიამ ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ემოციურ მდგომარეობაზე და შემოსავალზე იქონია. სოციალური იზოლაცია, ჯანმრთელობის გაუარესების შიში და შემოსავლის დაკარგვის შიში და გაურკვევლობა შფოთვას და დაძაბულობას ამძაფრებდა. ეს განსაკუთრებით აისახა უმუშევრებზე, სეზონური/არასტაბილური შემოსავლის მქონეებზე და კერძო სექტორში დასაქმებულებზე. გამოკითხულთა მესამედზე მეტისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ანაზღაურებადი დასაქმება კერძო ან სახელმწიფო სექტორში. ხოლო დასაქმებულთა 60% თვითდასაქმებული იყო (ძირითადად, სოფლის

მეურნეობაში), ან კერძო სექტორში მუშაობდა. შესაბამისად, პანდემიამ განსაკუთრებული უარყოფითი ეკონომიკური ზეგავლენა იქონია გამოკითხულთა სწორედ ამ ნაწილზე.

დიაგრამა 7. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის და შემოსავლის ძირითადი წყაროს მიხედვით



გამოკითხულთა 66%-ს ოჯახური შემოსავალი პანდემიის დროს შეუმცირდა. გამოკითხულ რეგიონებს შორის, შემოსავლის კლება ყველაზე ხშირად დაფიქსირდა კახეთსა და გურიაში (გამოკითხულთა 71% და 70%, შესაბამისად), ხოლო სამეგრელოში - 57%, რაც უმეტესწილად სამეგრელოს რესპონდენტთა საჯარო სექტორში დასაქმების შედარებით მაღალ მაჩვენებელს უკავშირდება.

დიაგრამა 8. პანდემიის ზეგავლენა ოჯახის შემოსავალზე, რეგიონის მიხედვით



პანდემიის დროს საქართველოში დაბრუნდა საზღვარგარეთ დასაქმებულთა ნაწილიც, რამაც დამატებით შეამცირა მათი ოჯახური შემოსავალი. შემოსავლის შემცირებას ამძაფრებდა პროდუქტის და სერვისების ფასების ზრდა და მიწოდების შეფერხება. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სოფლის დასახლებებისთვის, ვინაიდან ხშირად ადგილობრივი მაცხოვრებლები პროდუქტის რეალიზატორების დაგეგმილ ვიზიტებზე არიან დამოკიდებულნი, განსაკუთრებით კი რაიონული ცენტრიდან მოშორებით მდებარე სოფლებში. თუმცა, ფასების ზრდა პრობლემატური იყო სტაბილური შემოსავლის მქონეთათვისაც.

ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ პანდემიის დროს ყველაზე დიდი უარყოფითი ზეგავლენა საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესებულმა შეზღუდვებმა იქონია. ეს ძირითადად უკავშირდებოდა სოფლის მეურნეობის მოსავლის რეალიზების შეფერხებას და ტურიზმის სექტორის საქმიანობის შეჩერებას. უარყოფით შედეგს ამძაფრებდა სატრანსპორტო გადაადგილების ნებართვის მოპოვების გაჭიანურებული პროცედურა, რაც დამატებით სირთულეებთან იყო დაკავშირებული სოფლის მაცხოვრებელთათვის: საშვის მოსაპოვებლად მათ უწევდათ მეტად გრძელ მანძილზე გადაადგილება, რასაც დამატებით ართულებდა სოფლებს შორისი ტრანსპორტის დროებითი აკრძალვა.

> „[ყველაზე რთული იყო] ჩაკეტილობა! ბევრმა ადამიანმა იზარალა ძალიან, მოსავალი ვისაც მოყავდა, ვერ გაქონდათ ბაზარზე. სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული სოფელი ვართ.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, კახეთი.

„კომენდანტის საათის დროს გაგვიჭირდა საშვების აღება, რო დროულად გაგვეტანა [სასოფლო-სამეურნეო] პროდუქცია [გასაყიდად]. გვიწევდა ერთი დღე ლოდინი ორდღიანი საშვისთვის. შემოდგომაზე ხელახლა რო გახდეს საჭიროება ამისი, მე სურვილი მაქვს ეს დროულად იყოს მოგვარებული და გადაწყდეს ადგილობრივ დონეზე და არ იყოს ქალაქის მერიაში გადასაწყვეტი. სოფლის ხალხისთვის ძნელია, დროში ჩაეტიო, ეზოდან გასვლის უფლების მოსაპოვებლად უნდა გახვიდე. ორ დღეში ერთხელ საშვის აღება...“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, კახეთი.

„კორონამ ყველაზე მეტად დააზარალა ტურიზმის სფერო, [პანკისში] უმეტესობა ტურიზმის სფეროშია ჩართული, საოჯახო სასტუმროს მფლობელები. სხვა ინდუსტრია არაა სოფელში, ვიდრე ტურიზმი. ვიწრო ხეობაა. ადგილობრივებს აქვს თავისი ბოსტანი, დიდ დონეზე ვერ მისდევენ. [ტურისტული] სეზონის დროს მოხდა [პანდემია] თან.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, კახეთი.

საშვების გაცემის პროცედურის ხანგრძლივობასთან ერთად, გამოიკვეთა სხვადასხვა ბიზნეს სექტორების ოპერირების ნებართვისთვის საჭირო მოთხოვნების ადეკვატურობის ნაკლებობა. ფოკუს ჯგუფის მიხედვით, მოთხოვნები, რომლებიც სახელმწიფომ სხვადასხვა სექტორში ბიზნესის ოპერირების ნებართვის მოსაპოვებლად შეიმუშავა, უმეტესად, დიდი ზომის ბიზნესებზე იყო მორგებული და არ ითვალისწინებდა საშუალო და მცირე ბიზნესის სპეციფიკას.

„სახელმწიფოს მხრიდან პანდემიის პერიოდში აუცილებელია კანონმდებლობის ისე შეცვლა, რო ბიზნესს მოარგოს და რო ბიზნესი არ დაიხუროს. ყველაზე მეტად მცირე ბიზნესს უჭირს. მაგალითად, რეგულაციები მორგებული იყო არა საოჯახო სასტუმროებზე, არამედ დიდებზე. მაგალითად, მიმღებში უნდა ყოფილიყო მინა სტუმარსა და მასპინძელს შორის, არადა საოჯახო სასტუმროს ეს [მიმღები] არ აქვს. ასევე, სამი ნიჟარა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა და ა.შ.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, კახეთი.

ადგილობრივ პრობლემებზე საუბრისას, როგორც წინა თავში აღინიშნა, გამოიკვეთა ინტერნეტთან წვდომის არქონა ან შეფერხებები. ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები გამოიკვეთა ფოკუს ჯგუფებშიც და აქტუალური გახდა ონლაინ სწავლა-სწავლებისა და დისტანციური მუშაობის მოთხოვნიდან გამომდინარე. ამას, ზოგიერთ შემთხვევაში, ემატებოდა კომპიუტერის არარსებობა და ელექტროენერგიის სტაბილურ მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს ყველაფერი გამოწვევა იყო როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის.

„[დისტანციური სწავლა] სულ არარაობას მგონი ჯობდა, დადებითი მხარეები ქონდა, მაგრამ ხარვეზები იყო ინტერნეტის მხრივ და ზოგჯერ შუქი ითიშებოდა.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, სამეგრელო.

„ბავშვებისთვის იყო სტრესი, ლაივები გაუჭირდათ. სულ არარაობას ჯობდა მაგრამ.. ბავშვებისთვის იყო სტრესი. - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი, კახეთი.

კომპიუტერის და/ან ინტერნეტის არმქონე მოსწავლეებს უწევდათ მასწავლებელთან ტელეფონით კომუნიკაცია. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსწავლის აღმზრდელს და მის კონტაქტს მასწავლებელთან. ფოკუს ჯგუფებში მასწავლებლები გამოხატავდნენ შფოთვას ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებითაც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი

უპირატესობას ანიჭებდნენ პირისპირ გაკვეთილებს, სკოლაში სიარული დამატებით ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შიშს ამძაფრებდა.

4.2. ყოველდღიურ საქმიანობაზე

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო პანდემიის შედეგად განხორციელებული ცვლილებების ზეგავლენის შეფასება რესპონდენტების ყოველდღიურობაზე. ამისათვის, რესპონდენტებმა ხუთ-ქულიან სკალაზე შეაფასეს ყოველდღიური დატვირთვის ცვლილების დონე. შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევრის ყოველდღიური დატვირთვა პანდემიის შედეგად არ შეცვლილა. ეს ტენდენცია ანალოგიური იყო რეგიონების მიხედვითაც. მეტად დაიტვირთა რესპონდენტთა 41%. მხოლოდ მეათედმა განაცხადა, რომ ნაკლებად დატვირთული იყო ყოველდღიურად.

დიაგრამა 9. ცვლილება ყოველდღიურ დატვირთვაში, რეგიონის მიხედვით



როგორც მონაცემების შემდგომი ანალიზი აჩვენებს, რესპონდენტთა ნაწილისთვის, რომელთა ყოველდღიური დატვირთვა არ შეცვლილა, შეიცვალა საქმიანობის ტიპები, ანუ ისინი დროს სხვადასხვა საქმიანობებზე განსხვავებულად ანაწილებდნენ. რესპონდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ ყველა საქმიანობა, რომელსაც პანდემიის შედეგად მეტი დრო მიჰქონდა ყოველდღიურად. რესპონდენტს შეეძლო დაესახელებინა ერთზე მეტი ასეთი საქმიანობა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ყოველდღიური დატვირთვის ზრდა, ძირითადად, უკავშირდებოდა საოჯახო საქმიანობის ზრდას, რაც დაადასტურეს ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმაც.

დიაგრამა 10. რა საქმიანობას მიაქვს მეტი დრო ახლა, ვიდრე პანდემიამდე პერიოდში?



ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიხედვით, ჩაკეტილობის, სახლიდან მუშაობის და დასაქმებაში წყვეტის შედეგად გაჩენილ მეტ თავისუფალ დროს ისინი უმეტესად საოჯახო საქმიანობებზე ანაწილებდნენ. თუმცა ეს, ნაწილობრივ ბავშვებთან გატარებული დროის ხარჯზე ხდებოდა.

> „მეც რო უფრო მეტი [ოჯახური] საქმიანობა დამაწვა, საჭმელი და ა.შ., გამიჭირდა ბავშვებთან გართობა და ა.შ. სტრესი იყო ესეც ბავშვებისთვის."

> „არაფერს არ ვაკეთებდით, [საბავშვო] ბაღი დაიკეტა, სახლში ვიყავით და საოჯახო ტიპის საქმეებით ვიყავი დაკავებული. სოფელში სახლში მაინც ყველას აქვს საქმე, მაგრამ დატვირთვა მეტი იყო ოჯახური." - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი კახეთი.

> „სამსახურში აღარ დავდიოდი, საოჯახო საქმით [მეტად] დავკავდი. მანამდე დროს ვზოგავდით საოჯახო საქმეებში." - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი კახეთი.

გარდა ამისა, მშობლები მეტ დროს ატარებდნენ ბაღის და სასკოლო ასაკის შვილებთან, რაც გულისხმობდა მათთან თავისუფალი დროის გატარებას, გართობა-თამაშს და, ასევე, ონლაინ გაკვეთილებში ჩართულობას და გაკვეთილების მომზადებაში დახმარებას, რაც შედარებით მეტ ძალისხმევას მოითხოვდა. გარდა ამისა, საგანგებო მდგომარეობის და/ან დაკარგული სამუშაოს ან შემოსავლის წყაროს შედეგად გაჩენილ თავისუფალ დროს, ზოგიერთი რესპონდენტი და ოჯახის წევრი მეტად ან სრულიად უთმობდა მიწის დამუშავებას და მცირე სასოფლო მეურნეობის წარმოებას. საქმიანობებით დატვირთვაში ცვლილება განსხვავდებოდა სქესის მიხედვით (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11. საქმიანობით დატვირთვაში ზრდა, სქესის მიხედვით



რესპონდენტთა ორივე სქესის წარმომადგენლებს ჩამოთვლილ საქმიანობებში დატვირთვა გაეზარდათ. ყოველდღიურ საოჯახო საქმიანობაში ჩართულობა თანაბრად გაიზარდა ქალებისა და კაცებისთვის. ქალები, უფრო მეტ დროს უთმობდნენ ბავშვების მოვლას, კაცები კი, სამსახურს და სოფლის მეურნეობას. საბოლოო ჯამში, ყოველდღიურ საქმიანობაში დატვირთვის ზრდა სქესის მიხედვით „ტრადიციული როლისთვის“ შესაბამისი განსხვავებების მიხედვით გაიზარდა.

5. პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარებით სარგებლობა

გამოკითხვის პროცესში შეკითხვა „ისარგებლეთ პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ფულადი დახმარების პროგრამით?“ დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომელთა ოჯახის შემოსავალი პანდემიის შედეგად შემცირდა - სულ 869 რესპონდენტს. ნახევარმა აღნიშნა, რომ დახმარება არ ეკუთვნოდა. ხოლო მათგან, ვისაც ეკუთვნოდა ფულადი დახმარება (სულ 430 რესპონდენტი) 40%-მა ისარგებლა. თუმცა, მესამედმა ვერ ისარგებლა სახელწმიფო დახმარებით. სამეგრელოს რეგიონში ამ შეკითხვაზე თითქმის 40%-მა დააფიქსირა პასუხი „არ ვიცი/უარი პასუხზე“.

დიაგრამა 12. პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამით სარგებლობა, რეგიონის მიხედვით



პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო ფულადი დახმარებით ვერსაგებლობის მთავარ მიზეზებად პროცედურის სირთულე და შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობა დასახელდა.

დიაგრამა 13. პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამით ვერსარგებლობის მიზეზი, რეგიონის მიხედვით



ფოკუს ჯგუფების მიხედვით, დახმარებისთვის რეგისტრაციაზე დამატებითი პრობლემა ინტერნეტთან წვდომის არქონას ან ხარვეზებს უკავშირდებოდა. იმ რესპონდენტთა მეათედმა, რომელთაც მოითხოვეს აღნიშნული დახმარება, კომპენსაცია ვერ მიიღო მიწის რეგისტრაციის არქონის გამო. ეს პრობლემა კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა შორის მხოლოდ კახეთში დაფიქსირდა და სულ 16% შეადგინა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა დახმარებით ვერსარგებლობის დამატებით მიზეზად სახელმწიფო დახმარების პროგრამის არასათანადო დაგეგმვაც დაასახელეს. მათი აზრით, ის არ ითვალისწინებდა ყველა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფს, განსაკუთრებით - მარტოხელა მოხუცებს.

> „შუა ხნის ხალხს უფრო პრობლემა შეექმნათ, ვიტყოდი. ბევრმა აიღო დახმარებები, საკვები და ფულადი. ძალიან ბევრი გაჭირვებული, ვისაც მართლა ეკუთვნოდა, ვერ მოხვდა [პროგრამაში]. რეგიონებს ქონდათ თითონ გამოყოფილი [დახმარება], სოციალურად დაუცველებისთვის ძირითადად. არასწორად იყო პროგრამა გათვლილი. სოციალურად დაუცველები მაინც იღებდნენ ფულს [სოციალურ დახმარებას] და აი ისინი, ვისაც არც პენსია არ ქონდა და არც სოციალური, იმათ უფრო დაჭირდათ დახმარება. ბევრი მარტოხელა მოხუცი დარჩა დახმარების გარეშე.“ - ფოკუს ჯგუფის მონაწილე, ქალი

გამოკითხვის ერთ-ერთი მიზანი იყო სახელმწიფო დახმარების შესახებ რესპონდენტების ინფორმირებულობის დონის შემოწმება. სულ მხოლოდ 43 რესპონდენტს არ სმენოდა პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო ფულადი დახმარების შესახებ. მათი უმრავლესობა - 31 რესპონდენტი კახეთის რეგიონიდან იყო.

6. ადგილობრივ დონეზე საჭირო ბიზნესები

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო სამიზნე თემებში დასახლების დონეზე საჭირო ბიზნესების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, პროექტის საგრანტო კომპონენტის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. ამისათვის, რაოდენობრივი კითხვარი მოიცავდა შეკითხვას რესპონდენტის დასახლებისთვის საჭირო სამი უმთავრესი ბიზნესის შესახებ. ქვემოთ მოცემული ორი ცხრილი წარმოადგენს ამ შეკითხვაზე პასუხებს. ამ თავში წარმოდგენილი პირველი ცხრილი მოიცავს მნიშვნელოვნებით უპირველეს ბიზნესს. მეორე ცხრილი კი - მათ მიერ დასახელებულ ყველა საჭირო ბიზნესს.

რესპონდენტთა აზრით, მათი დასახლებისთვის *ყველაზე პრიორიტეტული ბიზნესი* საცხობი/საკონდიტრო აღმოჩნდა. ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტებად დასახელდა გასართობი ადგილები (უმეტესად, ბავშვთა გასართობი ცენტრები და ატრაქციონები, მაგრამ ასევე, კაფე, კინოთეატრი, და კლუბი) და სილამაზის სალონი. იგივე პრიორიტეტები დასახელდა სამეგრელოშიც. კახეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გასართობი ადგილები, ხოლო შემდეგ - საცხობი/საკონდიტრო, სპორტთან დაკავშირებული ბიზნესები (სპორტული მოედანი, დარბაზი, საცურაო აუზი), საკვების წარმოება და სილამაზის სალონი. გურიაში კი მეტად გამოიკვეთა საცხობი/საკონდიტროს, სილამაზის სალონის და მაღაზიის პრიორიტეტები. დიაგრამა 14 ასახავს ადგილობრივ *ყველაზე* საჭირო ბიზნესს. დეტალური კატეგორიების სიხშირული განაწილება ცხრილის სახით მოცემულია დანართში 6.

დიაგრამა 14. ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით



სურათი ოდნავ იცვლება რესპონდენტების მიერ დასახელებულ ყველა საჭირო ბიზნესის დაჯამებისას. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამა 15 ასახავს, მეტმა რესპონდენტმა გამოთქვა სამკერვალოს და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების (მიმღები პუნქტები, ტექნიკა, კონსულტაცია, ვეტერინარი) საჭიროება. რესპონდენტთა მიერ დასახელებული ყველა საჭირო ბიზნესის დეტალური სიხშირული განაწილება ცხრილის სახით მოცემულია დანართში 7.

დიაგრამა 15. სამი ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით



საკვების წარმოებაში ზოგადად გამოიკვეთა ისეთი მზა საკვების დამზადება, როგორიცაა კონსერვი, მარინადი, ჩირი, მურაბა, კომპოტი და წვენი. ხოლო მაღაზიის მხრივ ცალსახად პრიორიტეტული იყო სურსათისა და ხილ-ბოსტნეულის მაღაზია. კახეთის შემთხვევაში ასევე გამოიკვეთა ტანსაცმლის მაღაზიის მნიშვნელოვნებაც. აღნიშნული დეტალური მონაცემები ცხრილის სახით მოცემულია დანართში 7.

რესპონდენტთა 52%-მა (სულ 684 რესპონდენტი) დაფინანსების არსებობის შემთხვევაში მცირე ბიზნესის წამოწყების სურვილი გამოხატა.

დიაგრამა 16. დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, წამოიწყებდით თუ არა საკუთარ ბიზნესს? რეგიონის მიხედვით



ბიზნესის წამოწყების მსურველთა 29%-სთვის საკუთარი ბიზნესის წამოწყების სურვილი სოფლის მეურნეობას უკავშირდებოდა. დამატებით, მეტად გამოიკვეთა საცხობი/საკონდიტროს, მაღაზიისა და სამკერვალოს გახსნის სურვილი (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17. მცირე საოჯახო ბიზნესის წამოწყების სურვილი, რეგიონის მიხედვით



შედარებით იშვიათი იყო მეტად კონკრეტული სახის ბიზნესების წამოწყების სურვილი, როგორიცაა, მაგალითად, ყავის სახლი, კერვა-ქსოვისა და ხელნაკეთი ნივთების წარმოება და მზა საკვების წარმოება. პასუხების სიხშირული და პროცენტული განაწილება ცხრილის სახით მოცემულია დანართში 8.

რესპონდენტებმა, რომელთაც უარი გამოთქვეს ბიზნესის წამოწყებაზე (სულ 368 რესპონდენტი), სურვილის არქონის ძირითად მიზეზებად ინტერესის არქონა (26%), ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა (22%), დროის არქონა (20%) და გამოცდილების და საჭირო უნარების არქონა (10%) დაასახელეს.

ბიზნესის წამოწყების მსურველთა 77%-მა (სულ 502 რესპონდენტი) განაცხადა, რომ გააჩნდა ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო უნარები. საჭიროების მხრივ, დასახელდა პროფესიული (37 რესპონდენტი), ბიზნესის მართვის (7 რესპონდენტი) და მომხმარებელთან ურთიერთობის უნარების (1 რესპონდენტი) განვითარების საჭიროება.

დანართი 1. რაოდენობრივი კითხვარი

კვლევა კოვიდ-19-ის ზეგავლენის შესახებ

ინტერვიუერი	
ინტერვიუს ნომერი	
თარიღი	დღე: თვე: წელი:
რეგიონი	
თემი	
სოფელი	
ინტერვიუს შედეგი	1. დასრულებული 2. შეწყვეტილი
რესპონდენტის ტელეფონის ნომერი	

მოგესალმებით, მე გახლავართ _____ , [სათემოს დასახლება და მოკლე წარდგენა]. ჩვენ ვატარებთ კვლევას არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) დაკვეთით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია რეგიონის მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად, ქალების ეკონომიკური გაძლიერება და საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების წახალისება. კვლევა კონფიდენციალურია და მონაცემები თქვენი ოჯახის შესახებ მხოლოდ შეჯამებული ანალიზისთვის გამოიყენება, რათა შევძლოთ, უკეთ გავიგოთ კოვიდ-19-ის პანდემიის შედეგები რეგიონში. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენი ჯგუფი (სათემო) CSRDG-თან ერთად მოახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და შეეცდება მათ მოგვარებას ადგილობრივ თვითმმართველობასთან კომუნიკაციით. ასევე, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროექტის ფარგლებში მოხდება მცირე საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერა. ამისათვის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი პირადი შეხედულებები და გამოცდილება. კვლევაში არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, ჩვენთვის საინტერესოა თქვენი პირადი მოსაზრებები. კვლევის შედეგების საერთო ანალიზი ხელმისაწვდომი იქნება ინტერნეტში. გამოკითხვა სულ 15-იოდე წუთს წაგართმევთ და მადლობელი ვიქნებით, თუ გამოგვიყოფთ ამ დროს.

1. პირველ რიგში, გთხოვთ, შეგვავსებინოთ ცხრილი თქვენი ოჯახის წევრების შესახებ, სახელების და გვარების გარეშე. გთხოვთ, დაიწყოთ თქვენით, და შემდეგ გადახვიდეთ ოჯახის დანარჩენ წევრებზე. მიუთითეთ სქესი, ასაკი და საცხოვრებელი ადგილი, დასაქმების და განათლების სტატუსები.

#	სქესი	ასაკი	მუდმივი საცხოვრებელი ადგილი	დასაქმების სექტორი	განათლების უმაღლესი საფეხური
1	1. მამრ 2. მდედრ		1. მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში 2. პანდემიისას დაბრუნდა ქალაქიდან 3. პანდემიისას დაბრუნდა საზღვარგარეთიდან	1. სახელმწიფო/საჯარო 2. კერძო 3. თვითდასაქმებული 4. უმუშევარი 5. პენსიონერი	1. არასრული საშუალო 2. სრული საშუალო 3. პროფესიული 4. უმაღლესი 5. სრული უმაღლესი
2	1. მამრ 2. მდედრ		1. მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში 2. პანდემიისას დაბრუნდა ქალაქიდან	1. სახელმწიფო/საჯარო 2. კერძო 3. თვითდასაქმებული 4. უმუშევარი 5. პენსიონერი	1. არასრული საშუალო 2. სრული საშუალო 3. პროფესიული 4. არასრული უმაღლესი 5. სრული უმაღლესი

			3. პანდემიისას დაბრუნდა საზღვარგარეთიდან		
3	1. მამრ 2. მდედრ		1. მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში 2. პანდემიისას დაბრუნდა ქალაქიდან 3. პანდემიისას დაბრუნდა საზღვარგარეთიდან	1. სახელმწიფო/საჯარო 2. კერძო 3. თვითდასაქმებული 4. უმუშევარი 5. პენსიონერი	1. არასრული საშუალო 2. სრული საშუალო 3. პროფესიული 4. უმაღლესი 5. სრული უმაღლესი
4	1. მამრ 2. მდედრ		1. მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში 2. პანდემიისას დაბრუნდა ქალაქიდან 3. პანდემიისას დაბრუნდა საზღვარგარეთიდან	1. სახელმწიფო/საჯარო 2. კერძო 3. თვითდასაქმებული 4. უმუშევარი 5. პენსიონერი	1. არასრული საშუალო 2. სრული საშუალო 3. პროფესიული 4. უმაღლესი 5. სრული უმაღლესი
5	1. მამრ 2. მდედრ		1. მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში 2. პანდემიისას დაბრუნდა ქალაქიდან 3. პანდემიისას დაბრუნდა საზღვარგარეთიდან	1. სახელმწიფო/საჯარო 2. კერძო 3. თვითდასაქმებული 4. უმუშევარი 5. პენსიონერი	1. არასრული საშუალო 2. სრული საშუალო 3. პროფესიული 4. უმაღლესი 5. სრული უმაღლესი
6	1. მამრ 2. მდედრ		1. მუდმივად ცხოვრობს ამ სოფელში 2. პანდემიისას დაბრუნდა ქალაქიდან 3. პანდემიისას დაბრუნდა საზღვარგარეთიდან	1. სახელმწიფო/საჯარო 2. კერძო 3. თვითდასაქმებული 4. უმუშევარი 5. პენსიონერი	1. არასრული საშუალო 2. სრული საშუალო 3. პროფესიული 4. უმაღლესი 5. სრული უმაღლესი

2. რა არის თქვენი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყარო?

1	ანაზღაურებადი დასაქმება კერძო ან სახელმწიფო სექტორში
2	საკუთარი ბიზნესი / თვითდასაქმება. გთხოვთ, დააკონკრეტოთ: _____
3	ტურიზმი
4	სოციალური დახმარება სახელმწიფოსგან („სოციალური“)
5	პენსია
6	დახმარება ახლობლისგან, რომელიც საქართველოს სხვა ნაწილში ცხოვრობს
7	დახმარება ახლობლისგან, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს
8	სხვა. გთხოვთ, დააკონკრეტოთ: _____
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*
-99	*უარი პასუხზე*

3. როგორი ზეგავლენა იქონია პანდემიამ თქვენი ოჯახის შემოსავალზე?

1	მნიშვნელოვნად შემცირდა	
2	ოდნავ შემცირდა	
3	არ შეცვლილა	*გადადით მე-6 შეკითხვაზე*
4	ოდნავ გაიზარდა	
5	მნიშვნელოვნად გაიზარდა	
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*	
-99	*უარი პასუხზე*	

4. ისარგებლეთ პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ფულადი დახმარების პროგრამით?

1	მეკუთვნოდა, მაგრამ არ/ვერ ვისარგებლე	
2	მეკუთვნოდა და ვისარგებლე	*გადადით მე-6 შეკითხვაზე*
3	არ მეკუთვნოდა	
4	არ მსმენია ამ პროგრამაზე	
-77	*არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა*	
-99	*უარი პასუხზე*	

5. რატომ არ/ვერ ისარგებლეთ პანდემიასთან დაკავშირებული სახელმწიფო დახმარების პროგრამით?

1	ინფორმაციის ნაკლებობა პროცედურის შესახებ
2	პროცედურის სირთულე
3	სხვა. გთხოვთ, დააკონკრეტოთ: _____
-77	*არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა*
-99	*უარი პასუხზე*

6. რამდენად შეიცვალა თქვენი ყოველდღიური დატვირთვა პანდემიის შემდეგ? იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობა: სამსახური, თვითდასაქმება, საოჯახო საქმეები, თუ სხვა.

1	გაცილებით მეტად დატვირთული ვარ	
2	ოდნავ მეტად დატვირთული ვარ	
3	არ შეცვლილა	*გადადით მე-8 შეკითხვაზე*
4	ნაკლებად დატვირთული ვარ	
5	საერთოდ არ ვარ დატვირთული	
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*	
-99	*უარი პასუხზე*	

7. რა საქმიანობას მიაქვს მეტი დრო ახლა, ვიდრე პანდემიამდე პერიოდში?
[*<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ:</u> შემოხაზეთ <u>ყველა პასუხი,</u> რომელსაც რესპონდენტი დაასახელებს*]

1	ყოველდღიურ საოჯახო საქმეებს
2	ბავშვების მოვლას
3	სამსახურს
4	ოჯახის წევრი შშმ პირის მოვლას
5	სხვა. გთხოვთ, დააკონკრეტოთ: _____
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*
-99	*უარი პასუხზე*

8. გთხოვთ, ჩამოთვალოთ 3 ყველაზე დიდი პრობლემა თქვენს დასახლებაში. დაიწყეთ ყველაზე მნიშვნელოვანით. *<u>[ინტერვიუერის საყურადღებოდ: არ წაუკითხოთ</u> სავარაუდო პასუხები. <u>შეუსაბამეთ</u> რესპონდენტის მიერ დასახელებული პრობლემები პასუხებს ჩამონათვალში.*

ყველაზე მნიშვნელოვან პასუხს დაუწერთ მარჯვენა უჯრაში „1“, მნიშვნელოვნებით მეორე პრობლემას დაუწერეთ „2“, მნიშვნელოვნებით მესამეს კი - „3“.]

#	პრობლემა	მნიშვნელოვნება (მაქსიმუმ 3)
1	უმუშევრობა	
2	სასმელი წყლის პრობლემა	
3	ირიგაცია (სარწყავი წყალი)	
4	ნაგავი (ნარჩენი) გზებსა და სოფლებში	
5	დასასვენებელი ადგილები (პარკი, სკვერი)	
6	სოფლის გზები	
7	ტრანსპორტირება სოფლებს შორის	
8	მაღაზიები და სხვა სავაჭრო ადგილები	
9	სამედიცინო სერვისები და აფთიაქები	
10	სკოლა და საბავშვო ბაღი	
11	შშმ პირთა ცენტრები	
12	სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის მომსახურება, ტექნიკა და მასალები	
13	სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ):	
14	სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტოთ):	
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*	
-99	*უარი პასუხზე*	

9. გთხოვთ, ჩამოთვალოთ, 3 ყველაზე მნიშვნელოვანი **მცირე ბიზნესი,** რომელიც ამჟამად არ არის თქვენს სოფელში, მაგრამ თვლით, რომ აუცილებლად სჭირდება მოსახლეობას, რომ იყოს აქ, ადგილზე. *[ინტერვიუერის საყურადღებოდ: <u>არ წაუკითხოთ</u> სავარაუდო პასუხები. <u>შეუსაბამეთ</u> რესპონდენტის მიერ დასახელებული პრობლემები პასუხებს ჩამონათვალში. ყველაზე მნიშვნელოვან პასუხს დაუწერთ მარჯვენა უჯრაში „1“, მნიშვნელოვნებით მეორე პრობლემას დაუწერეთ „2“, მნიშვნელოვნებით მესამეს კი - „3“]*

#	ბიზნესი	მნიშვნელოვნება (მაქსიმუმ 3)
1	გასართობი ადგილი. გთხოვთ, დააკონკრეტოთ: _____	
2	საცხობი	
3	სადალაქო („საპარიკმახერო“)	
4	სავარჯიშო დარბაზი („ტრენაჟორები“)	
5	საკვების წარმოება (მაგ.: მურაბა, ჩირი, ა.შ.). გთხოვთ, დააკონკრეტოთ: _____	
6	მაღაზია. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რისი: _____	
7	სამკერვალო	
8	ვეტერინარის მომსახურება	
9	სხვა (გთხოვთ დააკონკრეტეთ):	
10	სხვა (გთხოვთ დააკონკრეტეთ):	
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*	
-99	*უარი პასუხზე*	

10. დაფინანსების არსებობის შემთხვევაში, წამოიწყებდით თუ არა მცირე საოჯახო ბიზნესს თქვენს სოფელში?

1	კი. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რა სახის ბიზნესს: _____	
2	არა. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რატომ არა: _____	*გადადით მე-12 შეკითხვაზე*
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*	
-99	*უარი პასუხზე*	

11. გაქვთ თუ არა ამ სფეროსთვის საჭირო პროფესიული უნარები / ხელობა?

1	კი. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რომელი უნარები/ხელობა: _____
2	არა. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რა უნარები გჭირდებათ: _____
-77	*არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა*
-99	*უარი პასუხზე*

12. იცნობთ თუ არა თქვენს სოფელში ვინმე ქალს, ვისაც აქვს ადგილობრივი მცირე საოჯახო ბიზნესის იდეა და დაინტერესებულია მისი განხორციელებით? *[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ:</u> სთხოვეთ, რესპონდენტს ასეთი ნაცნობის საკონტაქტო ინფორმაცია, რათა ისიც გამოკითხოთ]*

1	კი	სახელი, გვარი:	საკონტაქტო ინფორმაცია :
2	არა		

გმადლობთ დახმარებისთვის!

დანართი 2. რესპონდენტთა განაწილება რეგიონის, თემის და სოფლის მიხედვით

რეგიონი, მუნიციპალიტეტი, თემი, სოფელი	N	%
კახეთი	627	47.9%
ახმეტის მუნიციპალიტეტი	**62**	**5%**
ქვ. ალვანის თემი	**44**	**3.4%**
ბაბანეური	22	1.7%
ქვ. ალვანი	22	1.7%
ჯოყოლოს თემი	18	1.4%
ბირკიანი	6	0.5%
ძიბახევი	6	0.5%
ჯოყოლო	6	0.5%
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	**79**	**6%**
არბოშიკის თემი	**18**	**1.4%**
არბოშიკი	18	1.4%
ზემო ქედის თემი	34	2.6%
ზემო ქედი	34	2.6%
ხორნაბუჯის თემი	27	2.1%
ხორნაბუჯი	27	2.1%
თელავის მუნიციპალიტეტი	**176**	**13%**
ნაფარეულის თემი	**35**	**2.7%**
ნაფარეული	35	2.7%
რუისპირის თემი	**49**	**3.7%**
რუისპირი	49	3.7%
სანიორეს თემი	**15**	**1.1%**
სანიორე	15	1.1%
ფშაველის თემი	**41**	**3.1%**
ლალისყური	11	0.8%
ფშაველი	30	2.3%
ქვ. ხოდაშენის თემი	**36**	**2.7%**
ქვ. ხოდაშენი	36	2.7%
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	**289**	**22%**
აფენის თემი	**48**	**3.7%**
აფენი	35	2.7%
ფოდაანი	13	1.0%
ვარდისუბანის თემი	**48**	**3.7%**
ვარდისუბანი	12	0.9%
მშვიდობიანი	12	0.9%
საქობო	12	0.9%
სვიდება	12	0.9%
შრომას თემი	**36**	**2.7%**

კავშირი	18	1.4%
შრომა	18	1.4%
ცოდნისკარის თემი	**61**	**4.7%**
დავითიანი	16	1.2%
თელა	10	0.8%
შეერთება	4	0.3%
ჩადუნიანი	10	0.8%
ცოდნისკარი	10	0.8%
წიფლისწყარო	11	0.8%
ჭიაურის თემი	**96**	**7.3%**
თამარიანი	24	1.8%
წითელგორი	19	1.5%
ჭიაური	24	1.8%
ჰერეთისკარი	29	2.2%
ყვარელის მუნიციპალიტეტი	**21**	**2%**
ენისელის თემი	21	1.6%
ენისელი	21	1.6%
სამეგრელო	**431**	**32.9%**
აბაშას მუნიციპალიტეტი	**48**	**4%**
სამიქაოს თემი	**48**	**3.7%**
გეზათი	12	0.9%
გულუხეთი	12	0.9%
მაიდანი	11	0.8%
სამიქაო	13	1.0%
მარტვილის მუნიციპალიტეტი	**33**	**3%**
ბანძას თემი	**33**	**2.5%**
ბანძა	21	1.6%
ლეპატარე	12	0.9%
სენაკის მუნიციპალიტეტი	**16**	**1%**
ნოქალაქევის თემი	**16**	**1.2%**
გახომელა	5	0.4%
ლებაღათურე	3	0.2%
ძიგიდერი	2	0.2%
ჯიქა	6	0.5%
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	**313**	**24%**
ლესიჭინეს თემი	**67**	**5.1%**
ლესიჭინე	55	4.2%
მეორე ლესიჭინე	7	0.5%
ოჩხომური	5	0.4%
მუხურის თემი	**38**	**2.9%**
ლეგახარე	13	1.0%
მუხური	22	1.7%
ქოყო	3	0.2%

ნაფიჩხოვოს თემი	**54**	**4.1%**
ლედარსალე	12	0.9%
ნაფიჩხოვო	34	2.6%
ხანწკი	8	0.6%
ჩხოროწყუს თემი	**91**	**6.9%**
ჩხოროწყუ	91	6.9%
ხაბუმეს თემი	**63**	**4.8%**
მოიდანახე	23	1.8%
ჟულუ	3	0.2%
ფაბრიკა	6	0.5%
ხაბუმე	24	1.8%
ჯუმითი	7	0.5%
ხობის მუნიციპალიტეტი	**21**	**2%**
თორსას თემი	**21**	**1.6%**
დღვაბა	7	0.5%
თორსა	7	0.5%
საბუკიო	7	0.5%
გურია	**252**	**19.2%**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	**252**	**19%**
მერიას თემი	**167**	**12.7%**
მერია	111	8.5%
ნაღობილევი	37	2.8%
ხვარბეთი	19	1.5%
ჯუმათის თემი	**85**	**6.5%**
ბოგილი	18	1.4%
იანეთი	21	1.6%
ძირიჯუმათი	24	1.8%
ჯუმათი	22	1.7%
სულ	**1310**	**100.0%**

დანართი 3. ფოკუს ჯგუფის გზამკვლევი

მოგესალმებით. პირველ რიგში, მადლობას გიხდით, რომ დაგვთანხმდით ფოკუს ჯგუფში მონაწილეობაზე. მე გახლავართ [სახელი, გვარი], დამოუკიდებელი მკვლევარი და ამჟამად ვახორციელებ კვლევას არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) დაკვეთით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია რეგიონის მოსახლეობის, უფრო კონკრეტულად, ქალების ეკონომიკური გაძლიერება და საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების წახალისება. ხოლო, კვლევის მიზანია ამ რეგიონებში კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეული სოციო-ეკონომიკური ზეგავლენის შეფასება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ჩვენი ჯგუფი (სათემო) CSRDG-თან ერთად მოახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და შეეცდება მათ მოგვარებას ადგილობრივ თვითმმართველობასთან კომუნიკაციით. ასევე, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროექტის ფარგლებში მოხდება მცირე საოჯახო ბიზნეს-ინიციატივების მხარდაჭერა. ამისათვის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი პირადი შეხედულებები და გამოცდილება. აქ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, ჩვენთვის საინტერესოა თქვენი პირადი შეფასებები. კვლევა კონფიდენციალური და ანონიმურია და თქვენი პასუხები შეჯამდება სხვა რესპონდენტების პასუხებთან და მოხდება მათი საერთო ანალიზი. თუკი კვლევასთან დაკავშირებით შეკითხვები არ გაქვთ, შეგვიძლია დისკუსიაზე გადავიდეთ.

1. დასაწყისისთვის, გთხოვთ, მოკლედ მოგვიყვეთ თქვენ შესახებ. სახელი, ასაკი, სად ცხოვრობთ, რას საქმიანობთ.
2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ერთი ჩვეულებრივი დღე თქვენი ცხოვრებიდან, სანამ კოვიდ-19 პანდემია დაიწყებოდა.

კოვიდ-19-ის ზეგავლენა

3. როგორ აისახა კოვიდ-19-ის პანდემია თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე / როგორ შეიცვალა თქვენი ყოველდღიურობა პანდემიის შედეგად? გთხოვთ, მოკლედ მიმოიხილოთ დადებითი და უარყოფითი შედეგები.
4. თქვენი აზრით, არის თუ არა ვინმე თქვენს სოფელში, ვისზეც უფრო მეტი ან უფრო ნაკლები ზეგავლენა იქონია პანდემიამ? თუ კი, თქვენი აზრით, რამ განაპირობა განსხვავებული ზეგავლენა?
5. თქვენი აზრით, რა არის საჭირო კოვიდ-19-ის ზეგავლენის უარყოფითი შედეგების შესამსუბუქებლად?

სოფლის ეკონომიკური პროფილი

6. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით აღწეროთ თქვენი სოფელი (არსებული ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო და კერძო სერვისები, დასაქმება/მაცხოვრებელთა შემოსავლის ძირითადი წყარო, სოციალური ურთიერთობები).
7. რა სახის გამოწვევები არსებობს თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ სფეროში თქვენს სოფელში?
8. როგორ აისახა პანდემია განხილული სფეროებიდან თითოეულზე? გაამწვავა თუ არა არსებული გამოწვევები?
9. ზოგადად, რა სახის პროდუქტები ან სერვისები გესაჭიროებათ სოფელში?
10. როგორ აისახა პანდემია პროდუქტების/სერვისების ხელმისაწვდომობაზე თქვენს სოფელში?

11. თქვენი აზრით, რა პოტენციალი აქვს თქვენს სოფელს ბიზნესის განვითარების კუთხით?
12. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მცირე ბიზნესი, რომელიც ამჟამად არ არის თქვენს სოფელში, მაგრამ თვლით, რომ აუცილებლად სჭირდება მოსახლეობას, რომ იყოს აქ, ადგილზე?
13. გაქვთ თუ არა რაიმე სახის უნარები/ხელობა, რომელთა დახმარებითაც შეძლებდით ბიზნესის კეთებას თქვენს სოფელში?
14. რა სახის უნარების განვითარება გჭირდებათ, იმისათვის, რომ წამოიწყოთ თქვენთვის სასურველი ბიზნესი თქვენს სოფელში?

13. რაიმე სახის დამატებითი კომენტარი ან რეკომენდაცია ხომ არ გექნებოდათ?

დანართი 4. უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა	კახეთი		სამეგრელო		გურია		სულ	
	N	%	N	%	N	%	N	%
უმუშევრობა	262	43%	269	63%	151	60%	682	53%
სასმელი წყლის პრობლემა	128	21%	38	9%	51	20%	217	17%
სოფლის გზები	72	12%	39	9%	24	10%	135	10%
ირიგაცია (სარწყავი წყალი)	44	7%	20	5%	-	-	64	5%
გაზიფიცირება	-	-	34	8%	-	-	34	3%
დასასვენებელი ადგილები (პარკი, სკვერი)	19	3%	1	0%	3	1%	23	2%
ნაგავი (ნარჩენი) გზებსა და სოფლებში	12	2%	6	1%	5	2%	23	2%
სამედიცინო სერვისები და აფთიაქები	19	3%	2	0.5%	1	0%	22	2%
სანიაღვრე არხები	15	2%	1	0.2%	-	-	16	1%
მაღაზიები და სხვა სავაჭრო ადგილები	3	0.5%	1	0.2%	8	3%	12	1%
სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის მომსახურება, ტექნიკა და მასალები	5	1%	3	1%	1	0.4%	9	1%
შშმ პირთა ცენტრები	1	0.2%	7	2%	-	-	8	1%
ტრანსპორტირება სოფლებს შორის	7	1%	1	0.2%	-	-	8	1%
ინტერნეტი	4	1%	3	1%	-	-	7	1%
სკოლა და საბავშვო ბაღი	2	0.3%	-	-	2	1%	4	0.3%
გარე განათება	3	0.5%	-	-	-	-	3	0.2%
სხვა	20	3%	3	1%	4	2%	27	2%
არ ვიცი/უარი პასუხზე	11	2	3	1%	2	1%		1%
სულ	**627**	**100%**	**431**	**100%**	**252**	**100%**	**1310**	**100%**

დანართი 5. სამი უმთავრესი პრობლემა სოფელში, რეგიონის მიხედვით

პრობლემა	კახეთი		სამეგრელო		გურია		სულ	
	N	%	N	%	N	%	N	%
უმუშევრობა	416	23%	336	27%	228	31%	980	26%
სოფლის გზები	199	11%	200	16%	121	16%	520	14%
სასმელი წყლის პრობლემა	251	14%	106	9%	137	18%	494	13%
დასასვენებელი ადგილები (პარკი, სკვერი)	222	12%	63	5%	18	2%	303	8%
სამედიცინო სერვისები და აფთიაქები	153	9%	46	4%	93	13%	292	8%
ირიგაცია (სარწყავი წყალი)	186	10%	70	6%	2	0.3%	258	7%
ნაგავი (ნარჩენი) გზებსა და სოფლებში	64	4%	54	4%	44	6%	162	4%
სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის მომსახურება, ტექნიკა და მასალები	46	3%	74	6%	16	2%	136	4%
მაღაზიები და სხვა სავაჭრო ადგილები	38	2%	41	3%	54	7%	133	4%
ტრანსპორტირება სოფლებს შორის	60	3%	36	3%	11	1%	107	3%
გაზიფიცირება	-	-	80	6%	-	-	80	2%
შშმ პირთა ცენტრები	18	1%	56	5%	-	-	74	2%
სკოლა და საბავშვო ბაღი	16	1%	9	1%	8	1%	33	1%
სანიაღვრე არხები	26	1%	4	0.3%	1	0.1%	31	1%
ინტერნეტი	7	0.4%	24	2%	-	-	31	1%
სხვა	91	5%	34	3%	9	1%	134	4%
სულ	**1793**	**100%**	**1233**	**100%**	**742**	**100%**	**3768**	**100%**

დანართი 6. ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით

ყველაზე საჭირო ბიზნესი	კახეთი	სამეგრელო	გურია	სულ
საცხობი, საკონდიტრო	**81**	**140**	**97**	**318**
სილამაზის სალონი	**68**	**56**	**47**	**171**
გასართობი ადგილი	**79**	**59**	**6**	**144**
გასართობი ადგილი - ბავშვებისთვის	47	16	1	64
გასართობი ადგილი - კულტურა	2	31	1	34
გასართობი ადგილი - კაფე	17		1	18
გასართობი ადგილი - დაუზუსტებელი	13	12	3	28
საკვების წარმოება	**74**	**39**	**7**	**120**
საკვების წარმოება (კონსერვი, მარინადი, ჩირი, მურაბა, კომპოტი, წვენი)	35	12	1	48
საკვების წარმოება - დაუზუსტებელი	23	11		34
საკვების წარმოება - რძის პროდუქტი	2	5		7
საკვების წარმოება - სხვა	14	11	6	31
სპორტული სივრცე	**74**	**25**	**21**	**120**
მაღაზია	**54**	**25**	**37**	**116**
მაღაზია - სურსათის და ხილ-ბოსტნეულის	34	14	33	81
მაღაზია - ტანსაცმლის	7			7
მაღაზია - საჩუქრების	1	3		4
მაღაზია - წიგნების		2		2
მაღაზია - საკანცელარიო		1		1
მაღაზია - სხვა	12	5	4	21
სამკერვალო	**34**	**40**	**18**	**92**
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	**39**	**26**	**9**	**74**
ვეტერინარის მომსახურება	25	21	7	53
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღები პუნქტი	14	5	2	21
ღია რეკრეაციული სივრცე	**50**	**3**	**1**	**54**
აფთიაქი და სამედიცინო მომსახურება	**27**	**4**	**2**	**33**
სხვა	27	6	3	36
არ ვიცი/უარი პასუხზე	20	8	4	32
სულ	**627**	**431**	**252**	**1310**

დანართი 7. სამი ყველაზე საჭირო ბიზნესი სოფლისთვის, რეგიონის მიხედვით

საჭირო ბიზნესები	გურია	კახეთი	სამეგრელო	სულ
საცხობი, საკონდიტრო	**170**	**238**	**220**	**628**
სილამაზის სალონი	**172**	**198**	**166**	**536**
სამკერვალო	**97**	**144**	**246**	**487**
სპორტული სივრცე	**77**	**239**	**122**	**438**
სასოფლო სამეურნეო მომსახურება	**104**	**170**	**113**	**387**
ვეტერინარის მომსახურება	97	144	108	349
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღები პუნქტი	5	22	5	32
სასოფლო სამეურნეო მომსახურება_სხვა	2	4	0	6
გასართობი ადგილი	**6**	**170**	**110**	**286**
გასართობი ადგილი - ბავშვებისთვის	1	99	28	128
გასართობი ადგილი - კულტურა	1	8	52	61
გასართობი ადგილი - კაფე	1	30	3	34
გასართობი ადგილი - სხვა	3	33	27	63
საკვების წარმოება	**17**	**172**	**90**	**279**
საკვების წარმოება - დაუზუსტებელი	2	72	33	107
საკვების წარმოება (კონსერვი, მარინადი, ჩირი, მურაბა, კომპოტი, წვენი)	3	69	23	95
საკვების წარმოება - რძის პროდუქტი		8	10	18
საკვების წარმოება - სხვა	12	23	24	59
მაღაზია	**82**	**106**	**61**	**249**
მაღაზია - სურსათის და ხილ-ბოსტნეულის	69	58	21	148
მაღაზია - ტანსაცმლის	1	26	1	28
მაღაზია - დაუზუსტებელი	10	6	22	28
მაღაზია - წიგნების		1	7	8
მაღაზია - საკანცელარიო		1	4	5
მაღაზია - საჩუქრების		1	4	5
მაღაზია - სხვა	2	13	2	17
ღია რეკრეაციული სივრცე	**2**	**127**	**14**	**143**
სხვა	**5**	**67**	**21**	**93**
აფთიაქი და სამედიცინო მომსახურება	**5**	**56**	**14**	**75**
სულ	**737**	**1687**	**1177**	**3601**

დანართი 8. მცირე საოჯახო ბიზნესის წამოწყების იდეა, რეგიონის მიხედვით

წამოიწყებდა ბიზნესს:	კახეთი		სამეგრელო		გურია		სულ	
	N	%	N	%	N	%	N	%
სოფლის მეურნეობა	87	22%	89	40%	23	30%	199	29%
საცხობი, საკონდიტრო	72	19%	21	10%	23	30%	116	17%
მაღაზია	43	11%	18	8%	7	9%	68	10%
სამკერვალო	22	6%	34	15%	6	8%	62	9%
სალონი და ესთეტიკური ცენტრი	28	7%	9	4%	8	11%	45	7%
ტურიზმი	18	5%	14	6%	2	3%	34	5%
კაფე და სწრაფი კვება	20	5%	4	2%	-	-	24	4%
კომპოტის, წვენის, მურაბის და ჩირის წარმოება	16	4%	3	1%	-	-	19	3%
მშენებლობა და რემონტი	5	1%	4	2%	3	4%	12	2%
სპორტდარბაზი	8	2%	1	0%	1	1%	10	1%
ბავშვთა გასართობი ცენტრი	8	2%	2	1%	-	-	10	1%
ავტონაწილები და მომსახურება	5	1%	4	2%	-	-	9	1%
კერვა-ქსოვა და ხელნაკეთი ნივთები	4	1%	2	1%	1	1%	7	1%
ყავის სახლი	7	2%	-	-	-	-	7	1%
სხვა	26	7%	6	3%	2	3%	34	5%
არ ვიცი/უარი პასუხზე	19	5%	9	4%	-	-	28	4%
სულ	**388**	**100%**	**76**	**100%**	**220**	**100%**	**684**	**100%**